

თეა ჯალიაშვილი

**ჰუმანისტური  
თეორია**

2012

თეა ჯალიაშვილი,  
ჰუმანისტური თეორია

სამეცნიერო რედაქტორი:  
მანანა მელიქიშვილი

რედაქტორი:  
ნათია ნაცვლიშვილი

ყდის დიზაინი და დაკაბადონება:  
ლევან ბარბაქაძე

მასალის მომზადებისას განუული დახმარებისთვის მადლობას ვუხდით  
ნინო ლაბარტყავას და საბა ჩიხლაძეს

© მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2012.

[www.tpdc.ge](http://www.tpdc.ge)

## ჰუმანისტური თეორია

### ძირითადი საკითხები:

- ჰუმანისტური თეორიის მთავარი ასპექტები
- აბრაამ მასლოუს თეორია
- მოტივაცია
- კარლ როჯერსის თეორია
- მე-კონცეფცია
- სწავლების ფასილიტაცია
- სასწავლო პროცესის მართვა
- პრაქტიკული სავარჯიშოები

ჰუმანისტური ფსიქოლოგია (ჰუმანურობა - ლათ. *humanus* - ადამიანურობა) ეფუძნება შემდეგ დაკვირვებას: მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ შეიძლება ბევრ რამეში ვიყოთ ერთმანეთის მსგავსი, თითოეული ჩვენგანი მაინც არასდროს არის ზუსტად ისეთი, როგორც სხვები. ჩვენი უნიკალურობა - ეს ჩვენი „მეა“ და ის წარმოადგენს ჰუმანისტური ფსიქოლოგიის ცენტრალურ ცნებას. ჰუმანისტური ფსიქოლოგია ადამიანის უნიკალურობას უსვამს ხაზს და ყურადღებას ამახვილებს „მე-კონცეფციის“ ჩამოყალიბებაზე. ადამიანი დაჯილდოებულია უწყვეტი განვითარების უნარით, რომელიც მისი ადამიანური ბუნების ნაწილს წარმოადგენს.

ჰუმანისტური თეორიის ფუძემდებლები თვლიან, რომ **ქცევის მოტივები** სათავეს იღებს ადამიანის მისწრაფებიდან, გამოავლინოს და განავითაროს საკუთარი შესაძლებლობები. თვითრეალიზაციისაკენ სწრაფვა - ესაა ის კონკრეტული ძალა, რომელიც უბიძგებს ადამიანს პოზიტიური ქცევებისაკენ და თვითსრულყოფისაკენ. ჰუმანისტური თეორია ორიენტირებულია პიროვნების შემოქმედებით ზრდაზე.

### **აბრაამ მასლოუს თეორია**

ჰუმანისტური ფსიქოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელია ამერიკელი ფსიქოლოგი აბრაამ მასლოუ (1908-1970), რომელმაც მოტივთა იერარქიული მოდელი შემოგვთავაზა. **მოტივი** - ესაა მოთხოვნილება ან სურვილი, რომელიც სტიმულირებას უკეთებს და მიმართულებას აძლევს ქცევას, ის საფუძვლად უდევს ადამიანის მოქმედებებს და მისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ემსახურება. მასლოუმ მოთხოვნილებათა იერარქიაში გამოყო ხუთი ძირითადი დონე, რომელიც, შეიძლება ითქვას, რომ უნივერსალურია:

- 1) **ფიზიოლოგიური მოთხოვნილებები** (საკვები, ნყალი, ჰაერი, სითბო)

- 2) **უსაფრთხოების მოთხოვნილება** (ფიზიკური და ფსიქოლოგიური უსაფრთხოება)
- 3) **სიყვარულის, მიკუთვნების მოთხოვნილება** (ჯგუფის მიერ მიღება, ჯგუფთან მიჯაჭვულობა)
- 4) **პატივისცემის მოთხოვნილება** (აღიარება, კეთილგანწყობა, კომპეტენტურობა, დადებითი თვითშეფასება)
- 5) **თვითრეალიზაციის მოთხოვნილება** (საკუთარი პოტენციალის რეალიზაციის მოთხოვნილება), რომელიც ამ იერარქიის უმაღლეს დონეს წარმოადგენს.

მასლოუს აზრით, თუ ადამიანის მარტივი, საბაზისო მოთხოვნილებანი არაა დაკმაყოფილებული, ის ვერ მიაღწევს მეტამოთხოვნილებამდე, რომელშიც იგულისხმება ფსიქოლოგიური ხასიათის მოთხოვნილებანი: ესთეტიკური მოთხოვნილებები, სამართლიანობისა და პიროვნული ზრდის, თვითრეალიზაციის მოთხოვნილებანი. მაგალითად, როდესაც ჩვენი ფიზიოლოგიური მოთხოვნილებები დაკმაყოფილებულია, მაშინ ჩვენ გვალეღვებს პირადი უსაფრთხოების საკითხი; როდესაც უსაფრთხოებას მივალწევთ, მაშინ ვისწრაფვით, გვიყვარდეს და ვუყვარდეთ, გვიყვარდეს საკუთარი თავი; საკუთარი ღირსების გრძნობის გაცნობიერებისას, ჩვენ მივისწრაფვით **თვითრეალიზაციისაკენ**, ანუ საკუთარი პოტენციალის, შესაძლებლობების რეალიზაციისაკენ.

არსებობს მოტივაციის ორი ფორმა - შინაგანი და გარეგანი მოტივაცია.

1. **შინაგანი მოტივაცია** - ისეთი მოქმედების განხორციელების სურვილი, რომელიც ადამიანს სიამოვნებას ანიჭებს. ასეთი მოტივაციის მქონე ადამიანები საქმეს შემოქმედებითად უდგებიან; ცდილობენ, მიიღონ სიამოვნება თვით

საქმიანობის პროცესისაგან, დაიკმაყოფილონ ინტერესი, იპოვონ თვითგამოხატვის საშუალება და იგრძნონ აზარტი. მაგალითად: სასწავლო მასალა თქვენთვის საინტერესოა? გაძლევთ მისი შესწავლა საშუალებას, იგრძნოთ თავი უფრო კომპეტენტურად? შეფასება რომ არ ყოფილიყო, გენდომებოდათ ამ მასალის სწავლა უბრალოდ, ცნობისმოყვარეობის გამო? - თუ ეს ასეა, მაშინ თქვენ **შინაგანი მოტივაცია** გამოძრავებთ.

2. **გარეგანი მოტივაცია** - ესაა სწრაფვა, სურვილი, განახორციელო გარკვეული მოქმედება, რათა გარემოდან მიიღო **ნახალისება** ან თავი **აარიდო დასჯას**. მაგალითისათვის: გრძნობთ, რომ რაღაც გაიძულებთ წიგნის ბოლომდე წაკითხვას? ღელავთ ნიშნის მიღებაზე? ისწრაფვით გასამრჯელოს მიღებისკენ, რომელიც დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ წარმოაჩინთ თავს? ცდილობთ შეასრულოთ დავალება, რათა არავინ გისაყვედუროთ? - მაშინ თქვენ **გარეგანი მოტივაცია** გამოძრავებთ.

ჰუმანისტურ ფსიქოლოგიას **შინაგანი მოტივაცია** აინტერესებს, რომლის თვალსაჩინო მაგალითს მასლოუს **თვითრეალიზაციის** მოთხოვნილება წარმოადგენს. მასლოუს მიხედვით, ამ მოთხოვნილებას წამყვანი ადგილი უჭირავს მოთხოვნილებათა შორის. თვითრეალიზაციის მოთხოვნილება - **ესაა საკუთარი პოტენციალის გამოვლენის მოთხოვნილება, რომელიც საკუთარი შესაძლებლობების რეალიზების მოტივებს უქმნის ადამიანს**. ჰუმანისტური თეორია ხაზს უსვამს იმ შინაგანი ფაქტორების მნიშვნელობას, რომლებიც ქცევაზე ზემოქმედებს.

შინაგანი მოტივაციის ფორმაა **მიღწევის მოტივაცია**. ფსიქოლოგი ჰენრი მიურეი (1938) მიღწევის მოტივაციას განსაზღვრავს, როგორც მისწრაფებას, შეასრულო დასახული

ამოცანა, ფლობდე უნარებს ან იდეებს, მიაღწიო დასახულ მიზანს და მაღალ სულიერ და მატერიალურ დონეს. მილნევის მოტივაცია - ესაა სწრაფვა სხვადასხვა საქმიანობაში მაღალი რეზულტატის მიღებისკენ, მაღალი სტანდარტებისკენ.

კვლევებმა აჩვენა, რომ ადამიანები, რომლებსაც მილნევის მოტივაციის დაბალი დონე ახასიათებთ, დავალებების არჩევისას, ირჩევენ ან ძალიან იოლ დავალებებს, სადაც მარცხი ნაკლებ სავარაუდოა, ან ძალიან ძნელ დავალებებს, სადაც მარცხი სრულიად აშკარაა. ის მოსწავლეები, რომელთაც დაბალი აქვთ მილნევის მოტივაცია, ამჟღავნებენ ნაკლებ დაჟინებულობას კარგი ნიშნების მისაღებად, შემდგომში - სამსახურის შესანარჩუნებლად და ა.შ. ადამიანები, რომლებსაც მილნევის მაღალი მოტივაცია აქვთ, ირჩევენ ზომიერად რთულ დავალებებს, სადაც წარმატება მიღწევადია, მაგრამ დაკავშირებულია მათ შესაძლებლობებსა და ძალისხმევასთან (Geen, 1934). როდესაც ამოცანა რთულდება, მილნევის მაღალი მოტივაციის მქონე ადამიანები მეტ დაჟინებულობას ამჟღავნებენ, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მილნევის მაღალი მოტივაციის მქონე მოსწავლეები მეტ წარმატებას აღწევენ.

### **როჯერსის თეორია**

ჰუმანისტური ფსიქოლოგიის კიდევ ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის, კარლ როჯერსის (1902-1987) თეორია პასუხს სცემს კითხვაზე, თუ რას ფიქრობენ ადამიანები სამყაროს შესახებ, რას განიცდიან, როგორ აღიქვამენ საკუთარ დამოკიდებულებას გარშემომყოფებთან, რა პირობებია აუცილებელი იმისათვის, რომ ისინი შეიცვალონ. როჯერსი თვლის, რომ უსაფრთხო, კეთილგანწყობილი გარემო თითოეულ ადამიანს აძლევს საშუალებას, იაროს თვითშემეცნების, თვითპატივისცემისა და თვითგანვითარების გზით.

როჯერსი ბევრ რამეში ეთანხმება მასლოუს. ის, ისევე როგორც მასლოუ, თვლის, რომ ადამიანებს აქვთ თვითაქტუალიზაციის (თვითრეალიზაციის) ტენდენცია (თვითაქტუალიზაცია - ესაა ადამიანის მუდმივი სწრაფვა საკუთარი ნიჭისა და შესაძლებლობების განვითარებისა და გამოვლენისაკენ), რომ თითოეული ჩვენგანი შექმნილია ზრდისა და მიღწევებისათვის, თუ გარეგანი ბარიერები არ შეაფერხებენ მის ზრდას.

როჯერსის აზრით, პიროვნულ ზრდას ხელს უწყობს **გულწრფელობა, კეთილგანწყობა** (უპირობო დადებითი დამოკიდებულება) და **ემპათია** (თანაგანცდა).

გარშემომყოფი ადამიანები გვზრდიან თავიანთი **გულწრფელობით** - გრძნობების გახსნილობით და გულახდილობით. ისინი ასევე ხელს უწყობენ ჩვენს ზრდას თავიანთი კეთილგანწყობით, დადებითი შეფასებებით და დამოკიდებულებით, ამას როჯერსმა უწოდა „**უპირობო დადებითი დამოკიდებულება**“, რომლის საშუალებით ჩვენ გვაფასებენ, მიუხედავად იმისა, რომ იციან ჩვენი ნაკლის შესახებ. როჯერსი ხაზს უსვამს ბავშვების მიმართ უპირობო კეთილგანწყობას მათი აღზრდის პროცესში. მისი აზრით, ბავშვები ყოველთვის უნდა გრძნობდნენ სითბოსა და მხარდაჭერას, მიუხედავად მათი შეცდომებისა თუ ცვლქობისა; ისინი არ უნდა გამოიმუშავებდნენ მშობლების სიყვარულს. როჯერსი ურჩევდა მშობლებს, ბავშვის ცუდი ქცევის შემთხვევაში, გაეკიცხათ და განესაჯათ ბავშვის საქციელი, უარყოფითი დამოკიდებულება გამოეხატათ ბავშვის ქცევის, და არა ბავშვის პიროვნების მიმართ.

გარშემომყოფები ასევე უწყობენ ხელს ჩვენს ზრდას **ემპათიით** (სხვისი განცდების, გრძნობების თანაგანცდის უნარი). ეს ყველაფერი განაპირობებს საკუთარი თავის მიმართ დადებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას. დადებითი თვითაღქმა (საკუთარი თავის აღქმა) - ესაა გასაღები ბედნიერებისა და ნარმატებისათვის, სხვების მხრიდან თანაგრძნობა და

დადებითი შეფასება გვეხმარება საკუთარი თავის დადებითი გრძნობებით შეფასებაში. საკუთარი თავის დადებითად აღქმა არსებითია ადამიანის მოტივირებისათვის შრომისაკენ და წარმატებისაკენ. ეს ძალიან მნიშვნელოვანია მშობლისა და ბავშვის, პედაგოგისა და მოსწავლის, ზოგადად - ადამიანთა შორის ურთიერთობებში. ბავშვები, რომელთა მიმართაც მშობლები ამდაგვარ დამოკიდებულებას იჩენენ, ჩვეულებრივ, გამოირჩევიან შემოქმედებითი აზროვნებით, დადებითი მე-კონცეფციით და თანამშრომლობის კარგი უნარით.

### მე-კონცეფცია

ჰუმანისტური თეორიის მიხედვით, პიროვნების მთავარი თავისებურება, განსაკუთრებულობა - ესაა მისი „მე-კონცეფცია“ - წარმოდგენა საკუთარი თავის შესახებ - ესაა ყველა გრძნობა და აზრი, რომელიც გვიჩნდება პასუხად კითხვაზე - „ვინ ვარ მე?“. თუ ჩვენი მე-კონცეფცია დადებითია, სამყაროს დადებითად აღვიქვამთ; ხოლო თუ ის უარყოფითია, ანუ ძალიან განსხვავებულია ჩვენი იდეალური (სასურველი) „მე“-საგან, როჯერსის აზრით, მაშინ ჩვენ თავს დაუკმაყოფილებლად და უბედურად ვგრძნობთ.

სკოლა და სწავლის პროცესი ხელს უნდა უწყობდეს ბავშვის პიროვნების ზრდასა და განვითარებას, ადეკვატური მე-კონცეფციის ჩამოყალიბებას. მაგრამ სკოლაში სიარული ყველა ბავშვისათვის სასიხარულო და სასიამოვნო როდია. კლასში მოსწავლეებს უნევთ სხვადასხვა დავალების შესრულება, რომელიც შეიძლება არ შეესაბამებოდეს მათ ინტერესებსა და შესაძლებლობებს; ხდება დროის რეგლამენტირება, რომელიც შესაძლოა არ შეესაბამებოდეს მათ ბუნებრივ ტემპს; ასევე, მასწავლებლის ყურადღებისა და სხვა რესურსების თანაკლასელებთან გაყოფა; მოსწავლეებს უნევთ სასწავლო

დროის ტემპთან შეგუება; ამასთანავე, თითოეული მოსწავლე განსხვავდება ერთმანეთისაგან, თითოეულს საკუთარი უნიკალური, ინდივიდუალური მახასიათებლები გააჩნია.

სკოლებში ხშირად არიან ისეთი მოსწავლეები, რომლებსაც „იარლიყს“ აკერებენ. ასეთი დამოკიდებულება ბავშვებს აფიქრებინებს, რომ ისინი უპასუხისმგებლონი არიან, არ გააჩნიათ არავითარი შესაძლებლობები და არ შეუძლიათ მონაწილეობა რაიმე სახის სასარგებლო აქტივობაში. ბავშვები ხშირად განიცდიან ამ „იარლიყის“ ზემოქმედებას, როდესაც მასწავლებელი ავლენს აშკარა გულგრილობას და არ შეუძლია დაინახოს მოსწავლეში პიროვნება. ჩვენ შეგვიძლია მოვიყვანოთ მაგალითები მოსწავლეთა მონათხრობიდან, როდესაც მოსწავლეებს ასეთი „იარლიყი“ მიაკერეს:

*„ერთ-ერთმა მასწავლებელმა მითხრა, რომ ყოველთვის უსიამოვნება მომაქვს“.*

*„მასწავლებელმა უთხრა მთელს კლასს, რომ ჩემი ნდობა არ შეიძლება“.*

*„მასწავლებელმა სახაზავი ჩამარტყა და მითხრა, რომ ეს ერთადერთი ენაა, რომლითაც ჩემთან საუბარი შეიძლება“.*

*„მასწავლებელმა მითხრა, რომ მე ყველაზე უარესი ვარ იმ მოსწავლეებს შორის, რომელთათვისაც ოდესმე უსწავლებია“.*

ასეთი შემთხვევები სამწუხაროდ ხშირია ჩვენს სინამდვილეში. მეორე მხრივ, მასწავლებელი სტიმულს აძლევს მოსწავლეს, როდესაც აჩვენებს მას, რომ ის ღირსეული, დამოუკიდებელი და ნიჭიერია და ელოდება მისგან ისეთ ქცევასა და მიღწევებს, რომლებიც შეესაბამება მის ღირსებასა და დამოუკიდებლობას. მოკლედ რომ ვთქვათ, გამოხატავს პოზიტიურ გრძნობებს მოსწავლისადმი.

მასწავლებლისათვის აუცილებელია იმის ცოდნა, რომ მოსწავლეები სხვადასხვაგვარად აღიქვამენ გარემოს. თუ მასწავლებელს სურს, რომ მოსწავლეთა გაგება შეძლოს, ის უნდა შეეცადოს, გაიგოს მათი მოსაზრებები, შეხედულებები. შემთხვევითი არ არის, რომ მასწავლებელს, რომელსაც სხვებზე უკეთ ესმის მოსწავლეების, ახასიათებენ, როგორც ემპათიის (ერთი ადამიანის მიერ მეორის გრძნობების, აზრების, სურვილების გაგების, თანაგანცდის უნარი) უნარის მქონე პიროვნებას.

*პედაგოგი, 13 წლის პედაგოგიური სტაჟით, მოგვითხრობს: ძალიან ახალგაზრდა ვიყავი, როდესაც მე-10 კლასის მასწავლებელი გავხდი. გამოგიტყდებით, მეშინოდა; ყველაზე მეტად კი ის მაშფოთებდა, რომ კლასში სუსტი დისციპლინა იქნებოდა და ბავშვები არ მომისმენდნენ, ამიტომ ყურადღება განსაკუთრებულად გავამახვილე მოსწავლეთა ცუდ ქცევასა და დაუმორჩილებლობაზე და გადავწყვიტე, საფუძველშივე აღმომეფხვრა ეს პრობლემები. კლასში ერთი დიდი ტანის, ზორბა ყმანვილი, სანდრო სწავლობდა, რომელიც ცოტათი უფროსიც იყო თანაკლასელებზე. ის რამდენჯერმე იყო ჩაჭრილი გამოცდებზე და ვერ პასუხობდა კლასში დასმულ მარტივ შეკითხვებსაც კი. მივხვდი, რომ მასთან პრობლემები მექნებოდა. პირველივე გაკვეთილებზე, სანდრო სკამზე გაშხლართული იჯდა და თავისი გრძელი ფეხები მერხის ქვეშიდან პირდაპირ გასასვლელში ჰქონდა გამოყოფილი. თავდაპირველად მოკლე, მკაცრი სიტყვიერი შენიშვნით შემოვიფარგლე, ამან გაჭრა, მაგრამ იმავე გაკვეთილზე კიდევ ორჯერ მომიხდა მისთვის შენიშვნის მიცემა. მომდევნო დღეებშიც იგივე გაგრძელდა და საბოლოოდ, წყობიდან გამოსულმა, მასთან მივაჭერი და ჩემი ტერფით გასასვლელში გამოვარდნილი მისი დიდრონი ფეხები ისევ მერხის ქვეშ შევაგდე. სანდრომ დაუფარავი*

ზიზღით შემომხედა. მივხვდი, რომ მისი სახით ნამდვილი მტერი გავიჩინე. ამის შემდეგ ის კვლავ განაგრძობდა სკამზე გაშლართულად ჯდომას, არ რეაგირებდა ჩემს საუბარსა და შეხედვაზე, განზრახ სხვა საქმით იყო დაკავებული და პერიოდულად, თითქოს შემთხვევით გაახსენდებოდა და თავის დიდ ფეხებს მერხის ქვეშ აბრუნებდა. გადავწყვიტე, სკოლის დირექტორის მოადგილისათვის მიმემართა, რომელიც დისციპლინის საკითხებს კურირებდა. „ამ ბიჭს სერიოზული პრობლემები აქვს“, - ვუთხარი მე. არასოდეს დამავინყდება მისი სიტყვები:

„დარწმუნებული ხართ, რომ ეს მისი პრობლემაა?“

„უკაცრავად?...“ - ჩავეკითხე მე.

„დარწმუნებული ხართ, რომ მისი განზრახ უყურადღებობა და უხეშობა მისი პრობლემაა? იქნებ ეს თქვენი პრობლემაა?“

ამ უბრალო კითხვამ სრულიად შეცვალა ჩემი შეხედულებები და ჩემი პროფესიული კარიერა. დავფიქრდი, იქნებ ეს პრობლემა მე მოვიგონე? იქნებ ეს ახალგაზრდა ყმანვილი ასე უშნოდ ჩემ მიმართ უპატივცემულობის გამო კი არ ზის, არამედ იმიტომ, რომ ის ზედმეტად დიდია ამ მერხისათვის? იქნებ სანდროს გაცნობიერებულად არც მიუღია გადანყვეტილება, ცუდად ესწავლა, უბრალოდ სწავლა მისთვის ძალიან რთულია?

მე მასაც და სხვა მოსწავლეებსაც სულ სხვა თვალთა დაუწყე ყურება და დავფიქრდი იმაზე, რა განცდა მექნებოდა, მე რომ სანდროს ადგილას ვყოფილიყავი.“

იმისათვის, რომ პედაგოგსა და მოსწავლეს შორის ურთიერთგაგება დამყარდეს, პედაგოგი უნდა იცნობდეს მოსწავლის ფსიქოლოგიურ თავისებურებებს, მათ შორის იმასაც,

თუ როგორ აფასებს მოსწავლე საკუთარ შესაძლებლობებს, საკუთარ ფსიქიკურ თავისებურებებს, ანუ როგორი „მე-კონცეფცია“ აქვს მას. ვინაიდან მოსწავლის ქცევები, მათ შორის, სასწავლო ქცევებიც, მნიშვნელოვანწილად განსაზღვრულია მისი „მე-კონცეფციით“.

ცხადია, რომ ინფორმაციას საკუთარი თავის შესახებ მოსწავლეები უფრო ხშირად პირად საუბრებში გადმოსცემენ. თუ მასწავლებელი დაინტერესებულია, გაიცნოს საკუთარი მოსწავლეები, მან უნდა შეძლოს ასეთი საუბრების ჩატარება. მასწავლებელი მზად უნდა იყოს, ნაჩქარევი შეფასებების გარეშე მიიღოს ყველაფერი, რაც მოსწავლეს შეუძლია მას გაუზიაროს. ასეთი საუბრის ჩატარების უნარი მიუთითებს თითოეული მოსწავლის მიმართ გულწრფელ ინტერესზე. ამგვარი ურთიერთობების მნიშვნელოვანი ელემენტი ნდობაა. ამიტომ, მოსწავლის ნდობა რომ მოიპოვოს, მასწავლებელს უნდა შეეძლოს, „საიდუმლოდ“ შეინახოს ყველა ის ინფორმაცია, რომელსაც მოსწავლე მას მიაწვდის. როჯერსის აზრით, ნდობა, ემპათია და მიმღებლობა დიდ ღირებულებას წარმოადგენს მოსწავლის **მე-კონცეფციის** გაუმჯობესებაში. ამასთანავე, მასწავლებელმა ზომიერება უნდა შეინარჩუნოს და ზედმეტად არ მოახდინოს მოსწავლის პირად საკითხებზე აქცენტირება, რათა არ გამოიწვიოს უხერხულობის გრძნობა.

ყურადღება უნდა გავამახვილოთ კიდევ ორ ფაქტორზე, რომელიც გავლენას ახდენს მოსწავლის გულახდილობაზე, მიუხედავად იმისა, თუ როგორია მასწავლებლის ქცევა: პირველი, ესაა **ასაკი**. რაც უფრო პატარაა ბავშვი, მით მეტად გულლია იგი; პატარა ბავშვები ლაპარაკობენ იმას, რასაც გრძნობენ, ჰყვებიან იმის შესახებ, რასაც აკეთებენ. მათ ზოგიერთ მონაცემზე უფროსები დადებითად რეაგირებენ, ზოგზე კი - უარყოფითად; ამის გამო ბავშვები თანდათან ეჩვევიან, სწავლობენ, როგორ გააკონტროლონ, „ცენზურაში“ როგორ გადაიტანონ ის

ინფორმაცია საკუთარ თავზე, რომელსაც უფროსებს უყვებიან. მეორე ფაქტორია **სქესი**. ბიჭებს უჭირთ გულახდილად გამოხატონ შიშის და დაურწმუნებლობის გრძნობები, რადგან ეს მათი სქესის სტერეოტიპს არ შეესაბამება.

რადგან მოსწავლის „მე-კონცეფცია“ მის ქცევებში შეიძლება სრულიად სხვადასხვაგვარად გამოვლინდეს, ყურადღებით დააკვირდით და მოუსმინეთ მას. ნუ გააკეთებთ ნაჩქარევ დასკვნას, დააკვირდით მოსწავლეს სხვებთან ურთიერთობაში, გაიგეთ, როდის არის ის მხიარული, რა ინვესს მასში ღიმილს. ადამიანი, რომელიც იშვიათად იღიმება, არ არის საკუთარი თავით და ცხოვრებით კმაყოფილი. ყური მიუგდეთ მის ხმას, მოწყენილი, ან სარკაზმით სავსე ინტონაცია შეიძლება მის უარყოფით მე-კონცეფციაზე მიუთითებდეს. ამის სიგნალი შეიძლება იყოს:

- ხშირი თვითკრიტიკა: „ვერასოდეს ავითვისებ ამ მასალას...“
- უარყოფითი მოლოდინები შეჯიბრების სიტუაციაში: „რატომ ვინერვიულო, შანსი მაინც არ მაქვს...“
- სხვისი ნაკლის ხაზგასმა: „ მისი უბედურება ისაა, რომ...“
- თავის მართლება: „რა ჩემი ბრალია, თუ...“
- სხვისი წარმატების მიმართ კრიტიკული დამოკიდებულება: „ის უნიჭოა, უბრალოდ გაუმართლა...“
- შექების ვერმიღება: „თქვენ, რა თქმა უნდა, სინამდვილეში ასე არ ფიქრობთ...“
- უარყოფითი დამოკიდებულება სკოლასა და მასწავლებლებთან: „ცუდი მასწავლებელია...“
- დაბალი მოტივაცია, წარმატების მიღწევაზე უარის თქმა: „მე ეს არ მაინტერესებს...“

- ცუდი სოციალური ადაპტაცია, მორცხვობა და კრიტიკისადმი მომატებული მგრძობელობა: „ყველა ჩემს წინააღმდეგაა...“

ადეკვატური „მე-კონცეფციის“ მქონე მოსწავლე პოზიტიურად უყურებს საკუთარ პოტენციურ წარმატებას მომავალში, ბევრს შრომობს და ისახავს მიზნებს, დარწმუნებულია საკუთარ კომპეტენტურობაში, ფიქრობს, რომ ადამიანებზე სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენს. იღებს პასუხისმგებლობას, წამოჭრის იდეებს, მტკივნეულად არ რეაგირებს კრიტიკაზე.

### **ადეკვატური მე-კონცეფციის განვითარება მოსწავლეებში**

მოსწავლის შეფასება უნდა ეფუძნებოდეს მის წინარე შედეგებს; ჩვეულებრივ კი მასწავლებლები ერთი ბავშვის შედეგებს ადარებენ მეორისას; უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა ბავშვის შემეცნებითი ან სხვა პროგრესი შედარდეს მის უახლოეს წარსულთან, ეს ბავშვს დაიცავს უარყოფითი ემოციებისგან, რომელიც მას უფრო წარმატებულ მოსწავლესთან შედარებისას აღმოუცენდება. მაგალითად, ესა თუ ის მოსწავლე კლასში ყოველთვის სხვებზე ჩამორჩენილი შეიძლება აღმოჩნდეს, მაგრამ თუ მის შედეგებში რაიმე პროგრესი შეინიშნება, იგი შექებას იმსახურებს, ეს ხელს შეუწყობს მისი მოტივაციის გაძლიერებას და დადებითი თვითაქმის განვითარებას. ხოლო თუ მას გამოვუცხადებთ, რომ იგი ყოველთვის ჩამორჩენილთა რიგებში იქნება, ეს კარგს არაფერს მოგვიტანს, მისი მდგომარეობა არ გაუმჯობესდება.

ბავშვები მიზანმიმართულად უნდა წავახალისოთ, უნდა აღვნიშნოთ მათი თითოეული წარმატება, როგორც მცირეც უნდა იყოს იგი. წარუმატებლობა ყოველთვის შეიძლება იმედით შევამსუბუქოთ და მოვძებნოთ მიზეზი შექებისათვის, მაგალითად: „შენ მხოლოდ ერთი დავალება გაქვს სწორად

გაკეთებული, მაგრამ შენი შეცდომები სიჩქარის და დაუკვირვებლობის შედეგია, ამოხსნის პრინციპი კი სწორად გაგივია...”

ბავშვების შეფასებისას თავი შეიკავეთ მათი ერთმანეთთან შედარებისგან, თქვენი პედაგოგიური მიდგომა უნდა ეფუძნებოდეს იმ რწმენას, რომ ყოველგვარი დადებითი ცვლილება კარგია და ის უნდა წავახალისოთ. ყოველი პატარა, თითქოს უმნიშვნელო ნაბიჯიც კი უნდა იმსახურებდეს თქვენს ყურადღებას და გულწრფელ შექებას; უნდა ვასწავლოთ ბავშვებს, რომ სწავლასა და ყველა სხვა წამოწყებაში მცირე წარმატებაც კი მათი განვითარებისა და წინსვლის საფუძველი გახდეს, რაც გულისხმობს, რომ მოსწავლემ შეძლოს საკუთარი თავის და საკუთარი საქმიანობის ადეკვატურად შეფასება.

მოსწავლის „მე“ კონცეფციის განვითარების მთავარი მიზანია, რომ მან თვითონ შეაფასოს საკუთარი თავი და განივითაროს საკუთარი თავის მოწონების უნარი, ეს მასწავლებელს გაათავისუფლებს სასწავლო პროცესში ერთადერთი განმამტკიცებლის როლისაგან. მე-კონცეფცია ფორმირდება იმ სიტყვებისა და ფრაზების საფუძველზე, რომლებიც მოსწავლეს ესმის საკუთარი თავის მიმართ. თუ ეს სიტყვები და ფრაზები დადებითად ახასიათებს მოსწავლის საქმიანობას, მაშინ მოსწავლე ფიქრობს: „მე წარმატებით გავართვი თავი ამ ამოცანას“, ამ დროს სიტყვა „მე“ უკავშირდება სიტყვას „წარმატება“; რაც მეტი დადებითი გამონათქვამი დაუკავშირდება „მე-ს“, მით მეტ ძალას შეიძენენ ისინი დადებითი „მე-კონცეფციის“ ფორმირებაში. ეს აუცილებელია იმისათვის, რომ კლასში შეიქმნას ისეთი გარემო, რომელიც განამტკიცებს და განავითარებს ბავშვის ფსიქიკას; ასეთი გარემოს შექმნა ასევე დამოკიდებულია მასწავლებლის დადებით მე-კონცეფციაზე, მის თვითდარწმუნებულობაზე, რაც ქმნის

პირობას იმისათვის, რომ მან დადებითად აღიქვას მოსწავლე.

მასლოუ აღნიშნავს, რომ წარმატებული სწავლებისათვის ასევე მნიშვნელოვანია მასწავლებლის თვითაქტუალიზაციის ტენდენცია; ამ ტენდენციის მქონე პედაგოგები ორიენტირებულნი არიან კომუნიკაციაზე, პოზიტიურად აფასებენ საკუთარ თავსა და შესაძლებლობებს, თავს ღირსეულ და სხვებისათვის სასიამოვნო ადამიანებად მიიჩნევენ. საგნის სწავლებისას ისინი ენთუზიაზმით გამოირჩევიან, შეუძლიათ გაუღვივონ მოსწავლეებს ინტერესი საგნის მიმართ, სჯერათ თავიანთი მოსწავლეების შესაძლებლობების და ხშირად ამხნევენ მათ. ასეთ მასწავლებლებს ახასიათებთ გულწრფელობა, აქვთ იუმორის გრძნობა და გულთბილი დამოკიდებულება ადამიანებთან; ისინი განუმტკიცებენ მოსწავლეებს თვითპატივისცემის გრძნობას. მეორე მხრივ, „არაეფექტური“ მასწავლებლები გამოირჩევიან გულგრილობით, ცინიკურობით, ისინი აკარგვინებენ მოსწავლეებს უსაფრთხოების გრძნობას. ასეთი მასწავლებლები აქრობენ მოსწავლეთა შემოქმედებით ძალესა და შინაგან მოტივაციას.

მასლოუ და როჯერსი საუბრობენ მოსწავლეზე ცენტრირებული სწავლების უპირატესობაზე. ასეთი მიდგომის თანახმად, მასწავლებლები უნდა იყვნენ სწორედ ის ადამიანები, რომლებიც შეუმსუბუქებენ მოსწავლეებს დასწავლის პროცესს და არ გამოვლენ დიდაქტიკოსი დამრიგებლის როლში. ამისათვის მათ უნდა ისწავლონ, როგორ იყვნენ მგრძობიარე, მზრუნველი, გულწრფელი და ემპათიური. მასწავლებლის ემპათიურობა აგრძნობინებს მოსწავლეს, რომ ის მარტო არაა, რომ მისი ესმით და ღებულობენ ისეთს, როგორიც არის. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჰუმანისტურად ორიენტირებული პედაგოგი უპირატესობას მიანიჭებს **კონსტრუქტივისტულ** (მოსწავლე, მასწავლებლის დახმარებით, თვითონ აგებს

საკუთარ გამოცდილებაზე დამყარებულ ცოდნას, თვითონაა აქტიური) და **არა დირექტიულ** (სწავლის პროცესში დომინირებს მასწავლებელი, ის ინფორმაციის წყაროა და ცდილობს, „ჩაუდოს“ მოსწავლეებს თავში ეს ინფორმაცია, აძლევს მოსწავლეს მითითებებს, რომელთა შესრულება აუცილებელია) **სწავლებას**.

ჰუმანისტური მიდგომის მთავარი ნვლილი სწავლებაში არის მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის განსაკუთრებული ურთიერთობების განვითარება; მისი ერთ-ერთი მთავარი მიზანი თვითრეალიზაცია, კომპეტენტურობის (თვითეფექტიანობის) განვითარება და საკუთარი თავის პოზიტიურად აღქმაა. მაგალითისათვის, შეგვიძლია განვიხილოთ შემთხვევა - „ფოთოლს აქვს სული“:

*ახალგაზრდა პრაქტიკანტი, სალომე, იხსენებს მერვე კლასის მასწავლებელს, ქალბატონ თამარს: „ქალბატონი თამარი ხვდებოდა, რომ მე მორცხვი ბავშვი ვიყავი და არასოდეს მისვამდა კლასში შეკითხვებს. ერთხელ დაგვავალა, დაგვეწერა თავისუფალი თემა. მე შევარჩიე თემა - ფოთოლი, რომელსაც ჰქონდა სული და რომელსაც ქარი აქეთ-იქით დაატარებდა. მას შემდეგ, რაც თამარ მასწავლებელმა შეაგროვა ნამუშევრები, მკითხა, ხომ არ მსურდა, ნამეკითხა ჩემი ნაშრომი კლასისათვის. მან ისე ზრდილობიანად, ისეთი პატივისცემით მთხოვა, რომ უარი ვერ ვუთხარი. მე გაუბედავი ხმით ნავიკითხე ჩემი თემა და მასწავლებელმა მადლობა გადამიხადა. როდესაც გაკვეთილი დამთავრდა, მან მირჩია, შემენახა ჩემი ნამუშევარი და რომ ცუდი არ იქნებოდა, თუ მწერლის პროფესიაზე ვიფიქრებდი. მე გავითვალისწინე მისი რჩევა და დღეს ამ შემთხვევას ვიხსენებ, როგორც ძალიან მნიშვნელოვანს, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა ჩემს ცხოვრებაზე...“*

## მასწავლებელი - ფასილიტატორი

ტერმინი „ფასილიტაცია“ წარმოიშვა ინგლისური ზმნისაგან „facilitate“ - შემსუბუქება, ხელისშეწყობა, დახმარება. პედაგოგიკაში ტერმინი „ფასილიტაცია“ გამოიყენება შემდეგი მნიშვნელობით: მოსწავლის დახმარება, დამოუკიდებლად იპოვოს პასუხები კითხვებზე და/ან შეიძინოს სწავლისათვის საჭირო უნარ-ჩვევები.

სწავლება, თავისი ტრადიციული გაგებით, გულისხმობს მოსწავლის მიერ მასწავლებლისაგან ცოდნის პასიურ მიღებას - მასწავლებელი ფლობს ცოდნას, მოსწავლემ კი ის უნდა აითვისოს; მასწავლებელი ხელმძღვანელია, მოსწავლე კი - მისდამი დაქვემდებარებული. მოსწავლე არ განსაზღვრავს არც სწავლის მიზნებს, არც მეთოდებს და არც შინაარსს. ალტერნატიული პედაგოგიკა კი გვთავაზობს სხვა მიდგომას, რომლის მიხედვითაც იცვლება მოსწავლის განწყობაც, ქცევაც და პიროვნებაც - ესაა მოსწავლის პიროვნული ჩართულობა სასწავლო პროცესში, ინიციატივა და თვითრეალიზაციის პროცესი. **როჯერსი** აუცილებლობად თვლის სწავლების პროცესში ისეთი პირობების შექმნას, როდესაც მოხდება არა ინფორმაციის გადაცემა პედაგოგიდან მოსწავლეზე, არამედ გააზრებული სწავლის ფასილიტაცია. ის ხაზს უსვამს **მასწავლებლის, როგორც ფასილიტატორის როლს** სწავლების პროცესში.

პედაგოგიური ფასილიტაცია - ესაა სწავლის პროცესში მოსწავლეების თვითგანვითარებისა და თვითაღზრდის სტიმულირება, ინიცირება და ხელშეწყობა, ეს კი ხდება მასწავლებლისა და მოსწავლის განსაკუთრებული სტილით ურთიერთობისას და პედაგოგის პიროვნული თავისებურებების გათვალისწინებით. სწავლის ფასილიტატორი ის ადამიანია, რომელიც ქმნის ხელსაყრელ პირობას დამოუკიდებელი და გააზრებული სწავლისათვის.

როჯერსი ხაზს უსვამს მასწავლებელი-ფასილიტატორისათვის მნიშვნელოვან სამ ძირითად პირობას. ესაა:

- 1. გულწრფელობა** - გულისხმობს მასწავლებლის გულახდილობას, გახსნილობას საკუთარი გრძნობებისა და აზრების მიმართ, მის უნარს, ღიად გამოხატოს გრძნობები და გადასცეს ისინი მოსწავლეებს. ეს პირობა განიხილება, როგორც ტრადიციული მასწავლებლისათვის დამახასიათებელი „როლური ქცევის“ ალტერნატივა. მასწავლებელი კლასში ისეთია, როგორც არის ის სინამდვილეში.
- 2. მიმღებლობა, ნდობა** - წარმოადგენს მასწავლებლის შინაგან დარწმუნებულობას თითოეული მოსწავლის შესაძლებლობებში.
- 3. ემპათია** (ემპათიური გაგება) - მასწავლებლის მიერ თითოეული მოსწავლის შინაგანი სამყაროს და ქცევის მისი (მოსწავლის) შინაგანი პოზიციიდან, ასე ვთქვათ, „მისი თვალით“ დანახვა. ესაა ალტერნატივა ტრადიციული „შემფასებელი მასწავლებლისა“, რომელიც გულისხმობს მოსწავლისათვის გარკვეული შეფასებითი „კლიშეებისა“ და „იარლიყების“ მიწერას.

ამგვარად, მასწავლებელი, რომელსაც ესმის და ღებულობს თითოეული მოსწავლის შინაგან სამყაროს ასეთი გზით, რომელიც იქცევა ბუნებრივად და საკუთარი გრძნობების შესაბამისად, კეთილგანწყობილია მოსწავლეების მიმართ - ქმნის ფასილიტაციისათვის საჭირო ყველა პირობას - პირობას გააზრებელი სწავლისა და მოსწავლეთა პიროვნული განვითარებისათვის.

როჯერსი ფიქრობს, რომ სწავლის ფასილიტატორს უნდა ჰქონდეს ცხოვრების განსაკუთრებული ხედვა. ეს ის ადამიანია, რომელიც პირველ ადგილზე მოსწავლეთა მოთხოვნილებებსა და ინტერესებს აყენებს. ის თვლის, რომ ტერმინი „სწავლება“ გულისხმობს „ინსტრუქტირებას“, „მითითების მიცემას“, „ცოდნისა და ჩვეულებათა გადაცემას“, და არა „ცოდნის შეძენის იძულებას“.

„სწავლების მიზანი ფასილიტაციაა - პროცესი, რომლის საშუალებითაც ჩვენ შეგვიძლია თავად ვისწავლოთ, როგორ ვიცხოვროთ და ხელი შევეწყოთ მოსწავლის განვითარებას.“

როჯერსი ყურადღებას ამახვილებს თანამშრომლობით სწავლაზე, როგორც ერთ-ერთ საუკეთესო მეთოდზე. ასეთი მიდგომის გამოყენებისას მცირდება მოსწავლის მასწავლებელზე დამოკიდებულობის დონე, მოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა, თავი დააღწიონ იზოლაციას, გარიყულობას, მოსინჯონ საკუთარი ძალები და შეაფასონ სხვების შესაძლებლობები, განივითარონ კომუნიკაციური უნარები, რაც სწავლასა და თანაკლასელებთან ურთიერთობაში მათი წარმატების საწინდარი ხდება; ამასთანავე, თანამშრომლობით სწავლა არ გულისხმობს მხოლოდ მოსწავლეთა გარკვეული რაოდენობის ერთად მუშაობას, ის წინასწარ განსაზღვრული და დაგეგმილია მასწავლებლის მიერ და გააჩნია კონკრეტული მიზნები და ამოცანები. თანამშრომლობით სწავლებისას ჯგუფის თითოეული წევრი ცდილობს არა მხოლოდ თვითონ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თანაგუნდელს საგნის უკეთ შესწავლაში. ჯგუფის თითოეული წევრი მუშაობს პრობლემაზე, სანამ ყველა არ დაეუფლება საკითხს; თითოეული ასრულებს წინასწარ დადგენილ, კონკრეტულ დავალებას, რომელიც ჯგუფის საერთო დავალების შემადგენელი ნაწილია.

„სწავლების თანამშრომლობითი სტილი გვაძლევს საშუალებას, მოვახდინოთ ცოდნის კონსტრუირება, ვიპოვოთ პასუხები იმ უმნიშვნელოვანეს კითხვებზე, რომლებიც დღესდღეობით კაცობრიობას აინტერესებს,“ - აღნიშნავს როჯერსი.

ასეთი სწავლება ეფუძნება არა ლიდერის ცოდნას, არა სასწავლო პროგრამებს, არა უხვ წიგნებს, თუმცა თითოეული მათგანი გამოიყენება როგორც საჭირო და მნიშვნელოვანი რესურსი, არამედ, ასეთი სწავლება ეფუძნება ფასილიტატორსა და მოსწავლეს შორის პირადი ურთიერთობების გარკვეულ ფსიქოლოგიურ მახასიათებელს; როდესაც მასწავლებელი ხედავს მოსწავლეში პოტენციალს, ის უნდა ისწრაფოდეს, გამოავლენინოს მას ეს პოტენციალი.

### **ფასილიტატორის ჩამოყალიბება**

ჩვეულებრივ, მასწავლებელი საკუთრ თავს ეკითხება: რა შეიძლება ვასწავლო მოსწავლეს, რომელსაც გარკვეული ცოდნა გააჩნია? როგორ დავგეგმო შესაბამისი პროგრამა ამ მოსწავლისათვის? როგორ შევუქმნა მოტივაცია ამ პროგრამის ასათვისებლად? როგორ გადავცე მასალა, რომ მან კარგად აითვისოს? როგორ გავაკეთო გამოცდის ორგანიზება ისე, რომ შევამოწმო, ნამდვილად შეიძინა ეს ცოდნა თუ არა?

სწავლების ფასილიტატორი კი სხვაგვარად იქცევა: ის პირველ რიგში მოსწავლეებს ეკითხება: რა გინდათ ისწავლოთ? რა არის თქვენთვის საინტერესო? რა განუხებთ? როგორი პრობლემების გადაჭრა გსურთ რომ შეგეძლოთ?

ამის შემდეგ კი ეკითხება საკუთარ თავს: როგორ დავეხმარო მოსწავლეებს ინფორმაციის იმ წყაროების მოძიებაში, რომლითაც ისინი შეძლებენ ისწავლონ ისე, რომ იპოვონ პასუხები საინტერესო კითხვებზე? როგორ დავეხმარო მოსწავლეებს, შეაფასონ საკუთარი მიღწევები და ამ შეფასებათა საფუძველზე

დაისახონ ახალი სასწავლო მიზნები? როგორ შევქმნა ისეთი ფსიქოლოგიური ატმოსფერო, სადაც ბავშვი იგრძნობს, რომ მას შეუძლია გამოავლინოს ცოდნისმოყვარეობა, დაუშვას შეცდომები, მოიძიოს ცოდნა გარემოდან? როგორ მოვეხმარო მას, დაიბრუნოს შემეცნებითი პროცესით მიღებული ის აღფრთოვანება, რომელიც პატარაობისას (სკოლამდელ ასაკში) ჰქონდა? როგერსი ფიქრობს, რომ ბავშვები სწორედ სკოლაში კარგავენ ცნობისმოყვარეობის იმ მაღალ ხარისხს, რომელიც მათ სკოლამდელ ასაკში ჰქონდათ, ამიტომ მასწავლებლის ერთ-ერთი ამოცანაა ამ ცნობისმოყვარეობის და შემეცნების სურვილის შენარჩუნება მოსწავლეებში.

როგერსს ფასილიტაცია ესმის, როგორც მოსწავლეებისათვის სასწავლო პროცესის შემსუბუქება და სტიმულირება; ეს კი გულისხმობს როგორც ინტელექტუალური და ემოციური, ასევე პედაგოგიური და ფსიქოლოგიური მხარდაჭერის ატმოსფეროს შექმნას კლასში. ის აღნიშნავს: „თუ სკოლა ხელს შეუწყობს სწავლის პროცესის სასურველად გადაქცევას, მაშინ ის მოსწავლისათვის „ჩემი სკოლა“ გახდება. იქ, სადაც მოსწავლეებს უყვართ სკოლა, კლასს „ჩემს კლასად“ თვლიან და სკოლას „ჩემს სკოლად“; თითოეული მოსწავლე თავს იმ ცოცხალი პროცესის ნაწილად გრძნობს, რომელსაც დიდი კმაყოფილება მოაქვს მისთვის. მშობლებს აკვირვებს მათი სიტყვები: „ერთი სული მაქვს, სკოლაში როდის წავალ“ და ა. შ. საინტერესოა ის, რომ ასეთი სიტყვები ნებისმიერი შესაძლებლობების მქონე ბავშვისაგან შეიძლება მოვისმინოთ, როგორც ბეჯითის, ასევე ზარმაცის, უდისციპლინოს, რაიმე ფიზიკური ნაკლისა თუ დაბალი ინტელექტის მქონე მოსწავლისაგან. თითოეულ მათგანს აქვს შესაძლებლობა, იმუშაოს იმ დონეზე, რაც მისთვის მისაწვდომია, თითოეულს აქვს საშუალება, **განიცადოს წარმატების სიხარული**. არასოდეს უნდა დავაძალოთ მოსწავლეს იმის სწავლა, რაშიც ის აზრს ვერ ხედავს, მოსწავლე არასოდეს

უნდა გახდეს დაცინვისა და გაკიცხვის მსხვერპლი იმის გამო, რომ მან ვერ შეძლო მასალის ათვისება, ან მუშაობის ნელი ტემპი აქვს. ბავშვისათვის მნიშვნელოვანია მარცხის განცდა იმ შემთხვევაში, როცა ის ძალიან რთულ დავალებას თვითონ შეეჭიდება, ეს მარცხი ახდენს მის შემდგომ სტიმულირებას, მაგრამ ეს მარცხი სრულიად განსხვავდება იმისაგან, რასაც სხვა ადამიანის მხრიდან მისი უარყოფითი შეფასებით განცდილი მარცხი ჰქვია, რომელიც მოსწავლეს საკუთარი თავის ფასს აკარგვინებს.“

### **სასწავლო პროცესის მართვა**

სასწავლო პროცესის მართვის ჰუმანისტურ მოდელებში გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის უნიკალურობა და ღირსება. ისინი მოსწავლეებზეა ორიენტირებული; ამ მოდელების მიხედვით, მასწავლებელს ეძლევა რეკომენდაცია, მინიმალურად ჩაერიოს კლასის საქმიანობაში, ამავდროულად, მოსწავლეები აქტიურად მოქმედებენ გაკვეთილზე. როჯერსის მოდელის მიხედვით (Rogers & Freiberg, 1994), „ჰუმანისტი მასწავლებლის მიზანია შინაგანი დისციპლინის გამომუშავება მოსწავლეებში; შინაგანი დისციპლინა - ესაა ცოდნა საკუთარი თავისა და იმ მოქმედებების შესახებ, რომლებიც უნდა შეასრულო, რათა გაიზარდო და განვითარდე, როგორც პიროვნება“

რაში მდგომარეობს კლასის მართვის სწორი მეთოდი? - ის უბრალოდ გულისხმობს კლასის ხელმძღვანელობის არადირექტიულ მოდელს. როჯერსი და მასლოუ თვლიდნენ, რომ ყველა მოსწავლეს აქვს ზრდისა და განვითარების სურვილი, მშობლები და მასწავლებლები კი ეხმარებიან მათ, ხელს უწყობენ, უქმნიან სათანადო გარემოს, რათა მათი პიროვნული ზრდა მოხდეს, აფასებენ მათ ისეთებს, როგორებიც არიან,

უპირობოდ ღებულობენ და პატივს სცემენ. მასწავლებელი კი არ წარმართავს პროცესს, არამედ ეხმარება მოსწავლეს, რომელიც სასწავლო პროცესის მთავარი და აქტიური მონაწილეა. ნდობით, გულწრფელობით აღჭურვილი გარემო ეხმარება მოსწავლეებს თვითდისციპლინისა და თავდაჭერილობის უნარის გამომუშავებაში. ამ შემთხვევაში ბავშვებს თვითკონტროლის მოტივაცია ექმნებათ და, შესაბამისად, ნაკლებად სჭირდებათ გარეგანი კონტროლი მასწავლებლის მხრიდან. როჯერსი არ გვთავაზობს რაიმე კონკრეტულ ტექნიკას, რომელიც უნდა გამოიყენოს, ან არ უნდა გამოიყენოს მასწავლებელმა კლასში, თუმცა გვაძლევს რამდენიმე რეკომენდაციას:

- ✓ არადირექტიული მასწავლებელი მხედველობაში იღებს მოსწავლეთა საუბრისა და ქცევის ყველაზე არსებით ასპექტებს და უბიძგებს მათ, გააცნობიერონ საკუთარი აზრები და ფიქრები. მაგალითად, მასწავლებელი ამბობს: „მე მგონია, შენ გინდა თქვა, რომ...“
- ✓ მასწავლებელი მხარს უჭერს მოსწავლეს - უპირობოდ სცემს პატივს და უცხადებს თანადგომას.
- ✓ მასწავლებელი წაახალისებს მოსწავლის დამოუკიდებელ შეფასებებს: „როგორ ფიქრობ, რამდენად კარგად შეასრულე დღეს დავალება?“
- ✓ მასწავლებელი გამოუმუშავებს მოსწავლეს პასუხისმგებლობის გრძნობას: „თქვენი აზრით, როგორ უნდა მოიქცეთ?..“
- ✓ მასწავლებელი წაახალისებს მოსწავლეთა თვითაქტუალიზაციას - აძლევს მათ სწავლისა და ზრდის შესაძლებლობას, წაახალისებს და აღიარებს მათ განსაკუთრებულ ნიჭს, ხელს უწყობს ამ ნიჭის განვითარებას.

სწავლების სხვადასხვა თეორია გვთავაზობს სასწავლო

პროცესის მართვის განსხვავებულ მოდელებს. შედარებისათვის, მოვიყვანთ ცხრილს, სადაც მოცემულია განსხვავება ჰუმანისტურ და ბიჰევიორისტულ მიდგომებს შორის:

**სასწავლო პროცესის მართვის მოდელები**

	სწავლება	თეორიული ბაზა	მოსწავლის ცუდი ქცევის მიზეზები	ძირითადი რეკომენდაციები	მომხრეები
მეტად ლიბერალური მოდელი	თავისუფლების მინიმალურად შეზღუდვა	ჰუმანისტური თეორია	უარყოფითი მეკონცეფცია	მასწავლებლის მინიმალური ინტერვენცია, მასწავლებელი ქმნის მხარდამჭერ გარემოს, ნახალისებს მოსწავლეთა დამოუკიდებელ, თავისუფალ განვითარებას	როჯერსი; მარლენდი
ნაკლებად ლიბერალური - მეტად დირექტიული მოდელი	ძირითადად მასწავლებელზე ცენტრირებული, უშუალო ხელმძღვანელობა	ბიჰევიორიზმი	ბავშვი სწავლობს ცუდ ქცევას; ცუდი ქცევის ალტერნატივის მიღების უუნარობა	ქცევის შეცვლის ტექნიკები, როგორცაა: განმტკიცება, მოდელირება, დასჯა	სკინერი; ლიკანტერი

ჰუმანისტური თეორიები ასეთ რეკომენდაციებსაც გვთავაზობენ:

**ბავშვების სიყვარული** - მასწავლებელმა უნდა აჩვენოს მოსწავლეებს, რომ მართლაც უყვარს ისინი, მაგალითად, დაიმახსოვროს მათი სახელები, გვარები, სხვა მსგავსი ინფორმაცია და რაც შეიძლება მეტი გაიგოს მათზე.

**საკლასო წესების შემუშავება** - ცხადია, წესები აბსოლუტური და უცვლელი არაა, ეფექტურ მართვას უზრუნველყოფს წლის დასაწყისში ფორმულირებული წესები და სასკოლო ცხოვრების ორგანიზებული ერთგვარი შინაგანანესი. თვალსაჩინოდ მოცემულ ასეთ განანესს, განსაკუთრებით სწავლების დაწყებით საფეხურზე, კარგი შედეგი მოაქვს. მასში მოცემულია, სად უნდა შეინახონ ბავშვებმა წიგნები, როგორ უპასუხონ კითხვებს, როგორ ითამაშონ, როგორ და სად დასხდნენ კითხვის დროს... ყველა ეს და სხვა დეტალი კლასში ზედმინევენით კარგად უნდა იყოს განმარტებული - ეს მნიშვნელოვანია საკლასო სიტუაციის მართვისათვის; წესების ჩამოყალიბებაში მოსწავლეებმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ. თუმცა სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას წესები მაინც ირღვევა და არც თუ იშვიათად, კვლევები აჩვენებს, რომ ამგვარი საშუალებით მასწავლებელი მაინც ბევრად უფრო კარგ შედეგზე გადის კლასში დისციპლინის დამყარების თვალსაზრისით, ვიდრე მაშინ, როდესაც ასეთ ხერხს არ მიმართავს.

**სამართლიანი შექება** - რადგან შექება მოქმედებს მოსწავლის მე-კონცეფციებაზე, ისინი ღიად უნდა შევაქოთ, ხელსაყრელ შემთხვევაში, შეაქეთ ბავშვი მშობლებთან და იმ უფროსებთან ერთადაც, რომლებიც მისით დაინტერესებულნი არიან.

კრიტიკული შენიშვნები კი, რამდენადაც ისინიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ მე-კონცეფციის ჩამოყალიბებაზე, უნდა მივცეთ მოსწავლეს აუდიტორიისაგან განცალკევებით.

ამასთანავე, როგორც შექება, ასევე შენიშვნაც ნათლად და კონკრეტულად უნდა იყოს დაკავშირებული ბავშვის უშუალო ქცევასთან, როდესაც შექების ან კრიტიკის მიზეზი ბუნდოვანია, მათ არანაირი შედეგი არ მოაქვთ. ისეთი ზოგადი სიტყვები, როგორიცაა: „მოიქეცი კარგად“; „იყავი დისციპლინირებული“ - შეგვიძლია ჩავანაცვლოთ კონკრეტულ ქცევაზე მიმართული,

გასაგები განმარტებით, მაგალითად: „თუ შეიძლება, შეინახე სათამაშო პისტოლეტი“. ამით მასწავლებელი კონკრეტულად მიანიშნებს მოსწავლეს, თუ რა ქცევით არღვევს ის წესს, და რომ ეს ქცევა არასასურველია მისთვის და კლასისათვის.

შექება განსხვავდება სხვა, გარეგანი ჯილდოებისაგან, ის დამსახურებათა სიტყვიერი აღიარებაა, უფრო თუ ჩაუღრმავდებით, მაინფორმირებელი მოვლენაა, რომელიც ბევრს ეუბნება მოსწავლეს მისი ძალისხმევის შედეგებზე; ასევე, მის ღირებულებასა და უნიკალურობაზე. შექებას არსებითად შეუძლია აამაღლოს მოსწავლის შინაგანი მოტივაცია. ამ გაგებით, შექება უფრო ჰუმანისტურია, ვიდრე სხვა ჯილდოები, ვარსკვლავები ან ნიშნები.

**იუმორი გაკვეთილზე** - მასწავლებლები ხშირად ფიქრობენ, რომ მოსწავლის საქციელზე ხუმრობით პასუხი და იუმორის გამოყენება არ ღირს; თუმცა ისინი ცდებიან, ზოგიერთ შემთხვევაში, იუმორის გამოვლენა ალკვეთს არასასურველ კონფლიქტურ სიტუაციებს და დაძაბულობას კლასში.

**სასიამოვნო ატმოსფერო** - თბილი და მეგობრული ატმოსფერო უზრუნველყოფს კლასში დისციპლინას, ასევე საკლასო ოთახში მერხებისა და სხვადასხვა თვალსაჩინოების (მოსწავლეების ნახატები და ნაწერები, პლაკატები და ა.შ. ) ხელსაყრელად განლაგება სამუშაო ატმოსფეროს ქმნის და რთავს მოსწავლეებს საგაკვეთილო პროცესში; მასწავლებელი კეთილგანწყობილია ყველას მიმართ, შესაბამისად, კლასში დაძაბულობა და მართვის პრობლემები ნაკლებია.

**აქცენტი მოსწავლის შესაძლებლობებზე** - იმის თანახმად, რომ ინტელექტი დინამიურად განვითარებადი ხასიათისაა, მასტიმულირებელი გარემო ხელს უწყობს მის განვითარებას; როგორც **ჰანტი და ბლუმი** აღნიშნავენ, ხელსაყრელი გარემოს შექმნის პირობებში მოსწავლეებმა შეიძლება მიაღწიონ

ინტელექტის უფრო მაღალ დონეს. თუ მასწავლებელი დადებითად აფასებს მოსწავლის პოტენციურ შესაძლებლობებს, მაშინ მოსწავლისგანაც შეიძლება ჰქონდეს დადებითი რეაქციების მოლოდინი. მოსწავლეები ყველაზე უკეთ ვითარდებიან იმ მასწავლებლების ხელმძღვანელობით, რომლებიც მათში დიდ პოტენციალს ხედავენ და მოუწოდებენ მოსწავლეებს ამ პოტენციალის რეალიზაციისაკენ. აგრძნობინეთ მოსწავლეებს, რომ გჯერათ მათი შესაძლებლობების.

**რეალისტური მიზნების დასახვა** - ადამიანი ცდილობს მოვლენების ინტერპრეტაციას მისი საკუთარი მე-კონცეფციიდან გამომდინარე; ბავშვები ხშირად მიდრეკილნი არიან, საკუთარი წარუმატებლობა სხვებს დააბრალონ; მიანერონ ის არგამართლებას და ა.შ. იმის ნაცვლად, რომ აღიარონ, რომ წარუმატებლობაში თავად არიან დამნაშავე. ხშირად ასეთი დამოკიდებულების შედეგად, ისინი აღიქვამენ სკოლას, როგორც მტრულ გარემოს, რომლის წინააღმდეგ ბრძოლაც უშედეგოა. შედეგად ხდება საკუთარ წარუმატებლობაზე პასუხისმგებლობის შემცირება, რაც ხელს უშლის „მე-ს“ განვითარებას. ამიტომაც, მასწავლებლებმა და მშობლებმა ბავშვის წინაშე უნდა დააყენონ რეალისტური მიზნები, რომლებიც მისგან მოითხოვენ გარკვეულ ძალისხმევას, მაგრამ არ აღემატებიან ბავშვის რეალურ შესაძლებლობებს; მოსწავლის მიმართ მოთხოვნა და მისი რეალური შესაძლებლობები ისე არ უნდა იყოს დაშორებული ერთმანეთისაგან, რომ ამან შფოთვის ამაღლება და უდავო წარუმატებლობა გამოიწვიოს. ბავშვს, რომელმაც ათიდან მხოლოდ ორი მაგალითი ამოხსნა სწორად, იმის ნაცვლად, რომ ვუსაყვედუროთ და ამით დავახასიათოთ, როგორც უუნარო, უპერსპექტივო, უმჯობესია, ასეთი ტიპის დიალოგი შევთავაზოთ:

**მასწავლებელი** - ნიკა, შენ დღეს ორი ამოცანა ამოხსენი

სწორად, ეს უკვე კარგია, ასე არ არის? მე შენით კმაყოფილი ვარ, გუშინ ხომ მხოლოდ ერთი ამოცანა ამოხსენი; როგორ ფიქრობ, ხვალ რამდენის ამოხსნას შეძლებ?

**მოსწავლე** - შეიძლება სამის...

**მასწავლებელი** - მე დარწმუნებული ვარ, რომ შენ ამას შეძლებ. შემდეგ კვირაში კი შეიძლება ათიც ამოხსნა!

ბავშვს ისეთი მიზნები უნდა დავესახოთ, რომლებიც აღძრავს მოტივაციას; ეს მიზანი ინდივიდუალურად უნდა იყოს შერჩეული, რომ შესაძლებელი იყოს მათი მიღწევა და შემდგომი განმტკიცება. ამგვარი მიდგომა იმის პირობებს, რომ ბავშვმა თავისი თავი აღიქვას, როგორც უფრო წარმატებული მოსწავლე. თუ ის მასწავლებელთან ერთად დაისახავს მიზანს, ეს უფრო მეტად დაავალებს მათ ამ მიზნის მიღწევაზე ზრუნვას, ხოლო თუ მიზანი ამკარად გარედან იქნება თავს მოხვეული და მიუღწეველი, მაშინ მოსწავლემ შეიძლება მიმართოს თავის მართლებას: „მასწავლებელმა მეტისმეტად ბევრი მომთხოვა“, „ამას მაინც ვერ გავაკეთებდი“ და ა.შ.

გამოუცდებლობის გამო ბავშვები ხშირად მეტისმეტად რთულ მიზნებს ისახავენ, ზოგჯერ ეს დიდი წარმატების მიღწევის სურვილის გამო ხდება; ასეთი მიზნები უნდა განვიხილოთ, როგორც საბოლოო მიზნები, რომელთაც მასწავლებელი პატარა „ნაბიჯებად“ დაყოფს და რეალურად მიიყვანს ბავშვს წარმატებამდე.

**მასლოუსა და როჯერსის თეორიების ძირითადი იდეები**

*ჰუმანისტი ფსიქოლოგები მიიჩნევენ, რომ ადამიანებს ბუნებრივი მიდრეკილება აქვთ სიკეთისკენ, შემოქმედებისაკენ, სიყვარულისკენ.*

*ჰუმანისტური მიდგომების მთავარი აქცენტებია: მეტი ყურადღება აზროვნებასა და გრძნობებს, კომუნიკაციას,*

გულწრფელობას, გახსნილობას.

ჰუმანისტურ თეორიებს აინტერესებს „მე“-ს უნიკალურობა, ღირსებები და ფასეულობები.

ა. მასლოუმ შემოგვთავაზა მოთხოვნილებათა ასეთი იერარქია:

- 1) ფიზიოლოგიური მოთხოვნილებები
- 2) უსაფრთხოების მოთხოვნილება
- 3) სიყვარულის, მიკუთვნების მოთხოვნილება
- 4) პატივისცემისა და აღიარების მოთხოვნილება
- 5) თვითრეალიზაციის მოთხოვნილება

როჯერსის აზრით, ადამიანი არსებითად კარგი და კეთილი არსებაა, თვითრეალიზაციის თანდაყოლილი მიდრეკილებით.

როჯერსმა ხაზი გაუსვა სამ მნიშვნელოვან კომპონენტს ადამიანის ჰარმონიული განვითარებისათვის: **გულწრფელობა, უპირობო დადებითი დამოკიდებულება და ემპათია.**

როჯერსი განსაკუთრებულად აღნიშნავს მასწავლებლის, როგორც ფასილიტატორის მნიშვნელოვან ფუნქციას სწავლა-სწავლების პროცესში.

ჰუმანისტების აზრით, ადამიანის უმაღლეს მოთხოვნილებად **თვითრეალიზაციის** მოთხოვნილება გვევლინება.

სწავლებისადმი ჰუმანისტური მიდგომა გულისხმობს მოსწავლეზე ცენტრირებულ სწავლებას, სადაც მოსწავლეს აქვს თავისუფალი არჩევანისა და საკუთარი პოტენციალის რეალიზაციის საშუალება.

ჰუმანისტური მიდგომისათვის მნიშვნელოვანია თანამშრომლობით სწავლა, ჯგუფური მუშაობა. ჯგუფში მომუშავე

მოსწავლეებს შეიძლება ვასწავლოთ საკუთარი გრძნობების უფრო ღიად გამომჟღავნება, ღირებულებათა საკუთარი სისტემის ჩამოყალიბება. სხვადასხვა კომუნიკაციური თამაშების დახმარებით, შესაძლებელია მოსწავლეთა ურთიერთობები უფრო გახსნილი და ღია გავხადოთ.

„ეფექტური“ მასწავლებელი ცდილობს, გაუღვივოს მოსწავლეებს სწავლის ინტერესი, აძლევს მოსწავლეებს სტიმულს, მიაღწიონ წარმატებას, სწორად შეაფასონ საკუთარი უნარები.

სწავლა-სწავლების პროცესში მნიშვნელოვანია მასწავლებლის მისწრაფება თვითაქტუალიზაციისაკენ, მისი ენთუზიაზმი საქმის მიმართ, საკუთარი თავის პოზიტიურად შეფასება და მოსწავლეთა მიმართ კეთილგანწყობა, რაც ქმნის მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის ჰარმონიული ურთიერთობის პირობას და ხელს უწყობს სასწავლო მიზნების წარმატებით მიღწევას.

დადებითი, ადექვატური მე-კონცეფციის ჩამოყალიბებაზე გავლენას ახდენს გარშემომყოფთა შეფასებები.

უარყოფითი მე-კონცეფციის მქონე მოსწავლეები არ არიან დარწმუნებულნი თავიანთ შესაძლებლობებში და ხშირად აქვთ წარუმატებლობის მოლოდინი, რაც მათ დაბალ მოტივაციაშიც გამოიხატება.

## სავარჯიშო №1

კატო ყოველთვის გრძნობდა კონკურენციას სხვებთან ურთიერთობაში, განსაკუთრებით კი თავისი ერთადერთი, უფროსი დის, ნინოს მიმართ. ნინო, თავის მხრივ, ასეთ გრძნობას არ განიცდის, ის ცდილობს, თავი გამოიჩინოს და გამოამყლავნოს საკუთარი შესაძლებლობები, სხვებს არ ეჯიბრება. კატო ყოველთვის უფრო დაბალ ნიშნებს იღებდა, ვიდრე მისი და, რომელიც ყოველთვის მაღალ შეფასებას იღებს. კატო ამას იმიტომ ხსნის, რომ ის ბევრად რთულ დავალებებს და მკაცრ პედაგოგებს ირჩევს, ვიდრე მისი და. ნინო კი თვლის, რომ კატო ან ძალიან ძნელ დავალებებს ირჩევს, ან სასაცილოდ მარტივს. კატო ყოველთვის თავისი დის კვალს მიყვებოდა, მაშინ, როდესაც ნინოს ახალ-ახალი ინტერესები უჩნდებოდა. მაგალითად, ნინომ, თავისი ინიციატივით, გადაწყვიტა გიტარაზე დაკვრის სწავლა. დაიწყო გაკვეთილებზე სიარული და საათობით მეცადინეობდა გულმოდგინედ. ამაყი მშობლები ხშირად აქებდნენ მას შრომისმოყვარეობისა და ნარმატებისათვის. რომ არ ჩამორჩენილიყო, კატომაც დაიწყო გიტარაზე დაკვრის სწავლა. თუმცა, ორიოდე კვირის შემდეგ, მისი ინტერესი განელდა. მოტივაციის გასაძლიერებლად, მშობლებმა განაცხადეს, რომ თვის შედეგების მიხედვით დააჯილდოებდნენ ორივე შვილს განუული ძალისხმევისათვის - ყოველი ერთი საათის მეცადინეობისთვის - 1 ლარით. ეს სტიმული ეფექტური აღმოჩნდა კატოსთვის, რომელმაც გაზარდა მეცადინეობის დრო თითქმის ნინოს მეცადინეობის დრომდე. რაც შეეხება ნინოს, მშობლების გასაკვირად, მისი ინტერესი და მეცადინეობის დრო შემცირდა, როდესაც მას ფული შესთავაზეს. თვის ბოლოს მშობლებმა შეწყვიტეს თანხის გადახდა. სამი კვირის შემდეგ, არც ერთი გოგონა არ ამყლავნებდა ინტერესს გიტარის დაკვრის მიმართ.





მოტივირებულობაში შესაძლოა მშობლების დამოკიდებულებით ავსხნათ; შესაძლოა ნინოს, როგორც უფროს ქალიშვილს, თავის დროზე მეტი ყურადღება და სითბო გაუნანილეს მშობლებმა, ხოლო კატო კი ამ ყურადღების დანაკლისს განიცდიდეს.

2. თავდაპირველად ნინოსათვის გიტარაზე დაკვრა იყო სიამოვნება ყოველგვარი გარეგანი სტიმულების გარეშე, რომელსაც მისი **შინაგანი მოტივაცია** განსაზღვრავდა. მას შემდეგ, რაც მშობლებმა თანხის გადახდა დაიწყეს, ნინოსათვის ეს საქმიანობა ყოველდღიურ, ანაზღაურებად ვალდებულებად იქცა, რამაც მისი შინაგანი სტიმულები შეასუსტა. კატოს მიერ გიტარაზე დაკვრის სწავლის მოტივაცია თავდაპირველად დასთან შეჯიბრების სურვილით იყო განპირობებული, რაც გარეგანი მოტივაციის მაგალითია; მშობლების მიერ დაწესებული ჯილდო - თანხა დამატებით სტიმულად იქცა, რაზეც მან სარეპეტიციო დროის გაზრდით უპასუხა. როდესაც ნინომ ინტერესი დაკარგა მუსიკის მიმართ და ფულის გადახდაც შეწყდა, კატოს მოტივირებისათვის გარეგანი სტიმულები გაქრა და, შესაბამისად, მანაც დაანება თავი გიტარაზე დაკვრას.

3. ნინოს მოტივირებისათვის მშობლებს ჰმართებთ მიმართონ ინფორმაციულ ნახალისებას (შექება) და არა მაკონტროლებელს (ფული, საჩუქრები პირობის შესრულების შემთხვევაში); საჭიროა ნინო ხშირად შეაქონ, ხაზი გაუსვან მის მუსიკალურ შესაძლებლობებს, ნახალისონ ის და მისცენ სტიმული. რაც შეეხება კატოს, უნდა განისაზღვროს მიზანი - თუ მშობლებს სურთ, ყველაფერი გააკეთონ იმისათვის, რომ კატომ გიტარაზე დაუკრას, მაშინ შეუძლიათ კატოს მოტივირება იმით, რომ ის გიტარაზე დაკვრის წრეზე მიიყვანონ, სადაც სხვებთან თავის შედარება გარდაუვალია; თუკი მათ სურთ, რომ კატოს შინაგანი მოტივაცია აღუძრან, უნდა შეაქონ მისი დამოუკიდებლად მუშაობის უნარი, რათა მან შეძლოს საკუთრი პოტენციალის რეალიზება.

**შეკითხვები ცოდნის შესამოწმებლად:**

1. რა არის ემპათია? \_\_\_\_\_

---

---

---

2. რა არის მოტივი? \_\_\_\_\_

---

---

---

3. რას ნიშნავს ფასილიტაცია? \_\_\_\_\_

---

---

---

4. რა არის „მე-კონცეფცია“? \_\_\_\_\_

---

---

---

5. რას გულისხმობს კონსტრუქტივისტული სწავლება?

---

---

---

---

---

---

---

6. რომელი მოთხოვნილება დაასახელა მასლოუმ მეტამოთ-ხოვნილებად?

- ა) ფიზიოლოგიური
- ბ) თვითრეალიზაციის
- გ) მიკუთვნების და სიყვარულის
- დ) უსაფრთხოების

7. როჯერსის აზრით, რომელი სამი პირობაა მნიშვნელოვანი პიროვნების ჰარმონიული განვითარებისათვის?

- ა) გულწრფელობა, კონტროლი, ემპათია
- ბ) გულწრფელობა, უპირობო კეთილგანწყობა, ემპათია
- გ) ემპათია, მოტივაცია, შეფასება
- დ) კეთილგანწყობა, შეფასება, კონტროლი

8. გიორგი კალათბურთზე დადის, ის ყოველდღიურად საათობით ვარჯიშობს, ცდილობს, არ გააცდინოს მეცადინეობები და ძალიან ნუხს, როდესაც რაიმე მიზეზით გაკვეთილი ცდება. როგორი მოტივაცია ამოძრავებს გიორგის?

- ა) შინაგანი მოტივაცია
- ბ) გარეგანი მოტივაცია

9. ნიკა ყოველდღიურად კითხულობს მხატვრულ ლიტერატურას, ცდილობს, ამ საქმიანობას 2-3 საათი დაუთმოს დღეში, ყოველთვის ინიშნავს დროს, რათა დროულად დაამთავროს კითხვა, მამა შეჰპირდა, რომ თუ ყოველდღიურად ასე იმუშავებს და კვირაში ერთ ნაწარმოებს წაიკითხავს, ის

მისთვის საოცნებო ველოსიპედს მიიღებს საჩუქრად. როგორი მოტივაცია ამოძრავებს ნიკას?

- ა) შინაგანი მოტივაცია
- ბ) გარეგანი მოტივაცია

10. როგორ სტილით სწავლებას გულისხმობს ფასილიტაცია?

- ა) დირექტიულს
- ბ) ავტორიტარულს
- გ) დემოკრატიულს

პასუხები 1-5 (იხ. ძირითადი ცნებები) 6 - ბ; 7 - გ; 8 - ა; 9-ბ; 10- გ;

### **ძირითადი ცნებები**

**თვითრეალიზაცია** (თვითაქტუალიზაცია) - მუდმივი სწრაფვა ადამიანისათვის მახასიათებელი პოტენციალის რეალიზაციისაკენ, საკუთრი ნიჭისა და შესაძლებლობების მთლიანად განვითარება.

**მოტივაცია** - მოთხოვნილება ან სურვილი, რომელიც სტიმულირებას უკეთებს და მიმართულებას აძლევს ქცევას, ის საფუძვლად უდევს ადამიანის მოქმედებებს და მისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ემსახურება.

**მიღწევის მოტივაცია** - სწრაფვა სხვადასხვა საქმიანობაში მაღალი რეზულტატის მიღებისკენ, მაღალი სტანდარტებისკენ.

**შინაგანი მოტივაცია** - ეფექტურად შრომის სურვილი და გარკვეული საქმიანობის შესრულება თვითონ ამ საქმიანობის გამო, საქმიანობისგან სიამოვნების მიღების გამო.

**გარეგანი მოტივაცია** - გარეგანი დაჯილდოების ძიება და დასჯის თავიდან აცილება.

**ემპათია** - სხვისი გრძნობების, განცდების, აზრების მიღებისა და თანაგანცდის უნარი.

**ფასილიტაცია** - (აქ) მასწავლებლის მხრიდან მოსწავლის დახმარება, ხელშეწყობა, დამოუკიდებლად იპოვოს პასუხები კითხვებზე და/ან შეიძინოს რაიმე ჩვევები.

**„მე-კონცეფცია“** - ინდივიდის საკუთარ თავზე, საკუთარ შესაძლებლობებზე, თვისებებსა და სხვა მახასიათებლებზე წარმოდგენათა ერთობლიობა. ესაა აზრები და გრძნობები, რომლებიც გვიჩნდება პასუხად კითხვაზე - „ვინ ვარ მე?“

**კონსტრუქტივისტული სწავლება** - მოსწავლე, მასწავლებლის დახმარებით, თვითონ აგებს საკუთარ გამოცდილებაზე დამყარებულ ცოდნას, თვითონაა აქტიური.

**დირექტიული სწავლება** - სწავლების პროცესში დომინირებს მასწავლებელი, ის ინფორმაციის წყაროა და ცდილობს, „ჩაუდოს“ მოსწავლეებს თავში ეს ინფორმაცია, ის აძლევს მოსწავლეს მითითებებს, რომელთა შესრულებაც აუცილებელია.













**გამოყენებული ლიტერატურა:**

C. R. Rogers & H. J. Freiberg, "Freedom to learn", 1994

Г. Лефрансуа - "Прикладная педагогическая психология"

Р. Гериг, Ф. Зимбардо - "Психология и Жизнь"

Д. Майерс - "Психология"

Р. Бернс - "Развитие Я-концепции и воспитание"

